ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№8 28 აგვისტო, ორშაბათი, 2017 წელი

ფეისბუქის საუკუნე

,,მე ვთავაზობ მსოფლიოს უფრო ღია სივრცეს იმისათვის, რომ დავეხმარო ადამიანებს, დაუკავშირდნენ და იპოვონ ერთმანეთი", – ამბობდა მარკ ცუკერბერგი, ფეისბუქის დამფუძნებელი, 2011 წელს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში, მარკ ცუკერბერგმა თავის კოლეგებთან ერთად ჩაიფიქრა კიბერქსელი ფეისბუქი, რომელმაც კაცობრიობა შეცვალა. 2011 წლის ივლისის სოციალური გამოკითხვების თანახმად, ფეისბუქს 700 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავდა. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეათედი იყენებს ამ პლატფორმას.

ცხოვრება ამ ვირტუალური სამყაროს გარეშე, რომელიც განხორციელებული ნარცისიზმისა და ვუაერიზმის ნაზავი გახლავთ, ბევრ ახალგაზრდას უკვე ველარ წარმოუდგენია. შვეიცარიაში, სულ მცირე, 12 წლის ასაკიდან ისინი უკვე ონლაინ-რეჟიმში არიან. ბავშვები (და არა მარტო ისინი) ქსელში თავიანთ სახელებს სრულად ასახელებენ, რადგანაც სურთ, წარმოაჩინონ საკუთარი თავი. ფეისბუქის მომხმარებლები ბევრს წერენ საკუთარ თავზე, ცხოვრებისეულ ჩვეულებებზე, პრიორიტეტებზე, წერენ მთელ დღიურებს. ცოტა სახელმწიფომ თუ იცის თავისი მოქალაქეების შესახებ იმდენი, რამდენიც მარკ ცუკერბერგის ფირმამ — ფეისბუქის მომხმარებლებზე.

ახალი მედიასაშუალებები უფროსი თაობის წარმომადგენლებს სერიოზულად აფიქრებთ და აშინებთ. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ ინტერნეტს შეუძლია უხამსი სურათები და ინფორმაციები მთელ მსოფლიოს მოსდოს. ისინი ასახელებენ ციფრებს: 19 წლის ბიჭების 37%-ს ფოტოები და ვიდეომასალები უკვე განთავსებული აქვთ საკუთარ ფეისბუქგვერდებზე. ახალგაზრდებს, რომლებიც მობილურ ტელეფონებთან და ინტერნეტთან ერთად გაიზარდნენ, ეს აღაფრთოვანებთ. ფეისბუქი მათთვის პრაქტიკული რამ გახლავთ: არსებობს საკუთარი გვერდი, ელექტრონული ფოსტის სისტემა და ელექტრონული მისამართი, სადაც შეიძლება საყიდლების შეკვეთა. ამ ბაზარზე ისინი იგებენ, რას ფიქრობენ სხვები, საით მიემგზავრებიან, იპოვეს ან მიატოვეს პარტნიორი. ახლგაზრდებს აქვთ შეუზღუდავი, თამამი დამოკიდებულება ახალი მედიასაშუალებებისადმი.

ხდება თაობებისა და მსოფლხედვათა შეჯახება. ვინ არის მართალი? არცერთი. აზროვნების ორივე ნიმუშში — ,,Digital Migrants" (,,ციფრული იმიგრანტები") და ,,Digital Natives" (,,ციფრული მკვიდრნი") დევს შანსი: მოზარდები ძალიან ფართო ცხოვრებისეულ გამოცდილებას იძენენ. ისინი სწავლისა და მოქმედების ახალ სტრატეგიებს იყენებენ. აქედან დასკვნა: ამ შემთხვევაში ორივე მხარეს შეუძლია, ერთმანეთისაგან სარგებელი მიიღოს.

ახალი მედიასაშუალებებით ახალგაზრდების დაინტერესება უკვე ადრეულ ასაკში იწყება. მშობლების სმარტფონები საკმაოდ არის დატვირთული სხვადასხვა პროგრამით. ამ სმარტფონებით სამი წლის ბავშვებსაც კი შეუძლიათ, ისაუბრონ. მშობლები თავიანთ სმარტფონებს ბავშვებს სათამაშოდ აძლევენ, რათა კაფეში მეგობრებთან ერთად მშვიდად დროსტარების საშუალება ჰქონდეთ. ისინი ამ ხელსაწყოებს ბებისიტერების მაგივრად იყენებენ, მოგვიანებით კი უკვირთ, რომ ბავშვებს არავითარ სიამოვნებას აღარ ანიჭებთ ხის ქოხის აშენება და უპირატესობას კომპიუტერს და სათამაშო მისადგამს ანიჭებენ.

რამდენად ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ახალი მედიასაშუალებები მოზარდის ცხოვრებისეულ რეალიებზე? ციურიხის გამოყენებითი მეცნიერებების უმაღლეს სკოლაში, ასევე ჟენევისა და ტესინის უნივერსიტეტებში ჩატარდა კვლევები 12-დან 19 წლამდე შვეიცარიელი ახალგაზრდების მიერ ახალი მედიასაშუალებების გამოყენების შესახებ. კვლევები ადასტურებს, რომ ახალგაზრდები თავისუფალ დროს, გამონაკლისის გარეშე, საუბრის ელექტრონული საშუალებებით არიან დაკავებულნი. იმავდროულად მკვლევარები ცდილობენ, შეისწავლონ ბიჭების დამოკიდებულება მობილური ტელეფონების მიმართ. ამასთან, ცხადი გახდა, რომ ბიჭების უმრავლესობას დღე მობილური ტელეფონის გარეშე არსებობა ველარ წარმოუდგენია; მათთვის მობილური ტელეფონი უფრო მეტია, ვიდრე კომუნიკაციის საშუალება. მობილური ტელეფონი ცხოვრებისეული სტილის გამოხატულებად იქცა. მათთვის მნიშვნელოვანია მობილური ტელეფონის ბრენდი და გარეგნული მხარე. გამოკითხვისას ბევრი ახალგაზრდა აღიარებდა, რომ მათი მობილური არასოდეს არის გამორთული. მათ სურთ, ყოველთვის ხელმისაწვდომნი იყვნენ, რათა არაფერი გამორჩეთ. დღევანდელი ახალგაზრდა უკანა ჯიბით, დანის მაგივრად, მობილურ ტელეფონს ატარებს.

მეცნიერებისათვის უდავოა ის ფაქტი, რომ ახალი მედიასაშუალებები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი საორიენტაციო ინსტანციებია, რომ მედიის გამოყენება სულ უფრო მზარდი ხდება. JIM Studie-ის კვლევების თანახმად, შვეიცარიელი ახალგაზრდების 98% ფლობს მობილურ ტელეფონს. მედიალური შემოთავაზება არა მარტო გზაში, სახლშიც ძალიან დიდია. მოსახლეობის 99%-ის სახლში დგას კომპიუტერი, 95% ჩართული აქვს ინტერნეტი და ახალგაზრდები მთელი დღე დაძვრებიან ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში არიან დარეგისტრირებულნი და იციან, როგორ გადმოტვირთონ ქსელიდან პროგრამები.

ვირტუალური სამყარო ყოველდღიურობაზე იწყებს დომინირებას, საჭირო ხდება სერიოზული კამათი ამის შესახებ: კრიტიკულად უნდა გამოვიკითხოთ მთელ ოჯახში, ვინ როგორ მოიხმარს მედიასაშუალებებს და ერთობლივად ვიპოვოთ გამოსავალი. ახალგაზრდებმა უნდა შეიტყონ, რომ შესვენება ან სადილი მობილურის გარეშე სულს მოგვათქმევინებს და შეიძლება, საინტერესოც აღმოჩნდეს. თუმცა, არ უნდა დავაკნინოთ ახალი მედიასაშუალებების მნიშვნელობაც.

ბავშვებმა კინო და ტელევიზორი დიდი ხანია, წამყვანი მედიასაშუალებებით – ინტერნეტით, მობილური ტელეფონით და კომპიუტერული თამაშებით ჩაანაცვლეს. ახალგაზრდობის დაცვისა და სექსუალური დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო უნდა ცდილობდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები დააწესოს და ახალგაზრდები კომპიუტერული თამაშების მავნე ზეგავლენისაგან დაიცვას. მედიასაშუალებების დაცვა უნდა იქცეს სადისკუსიო თემად როგორც – სახლში, საუბრისას, ისე – სკოლაში.

თუმცა ასეთი კრიტერიუმებიც ვერ განსაზღვრავს ზუსტ ორიენტაციას ისეთი პროდუქციის მიმართ, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. მშობლებმა გადაწყვეტილება ბოლოს ინდივიდუალურად, კონკრეტული შემთხვევებისათვის უნდა მიიღონ.

ბიჭების მსოფლმხედველობა კომპიუტერული თამაშების მყვირალა კადრებით არის ინსპირირებული. ერთი რამ ცხადია: ბიჭები, რომლებიც თავიანთი ქცევით იქცევენ ყურადღებას, – ძალადობის შემცველი შინაარსის კომპიუტერული თამაშებით ერთობიან, რაც მათზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს. მავნე ზეგავლენისაგან ბიჭები არც სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში არიან დაზღვეულნი – იქნება ეს ოჯახი, ,,შანტრაბა" თუ სკოლის ეზო.

ახალი მედიასაშუალებები ბავშვებმა გაცნობიერებულად უნდა გამოიყენონ. მათ არ უნდა ჩაანაცვლონ თამაშები (ვთქვათ, ხის ქოხის აშენება). ვირტუალურ სამყაროსთან ერთად ბავშვებს სჭირდებათ ძლიერი რეალური სამყარო: ტელევიზორთან ან სათამაშო მისადგამთან ჯდომის ნაცვლად, მშობლებმა ბავშვებთან ერთად უფრო ხშირად უნდა ისეირნონ ტყეში, აშენონ ქოხები ან კოვბოების როლი შეასრულონ. ეს კომპენსაცია ვირტუალურ სამყაროსთან მიმართებაში სჭირდებათ ასაკობრივად მოზრდილ ბავშვებსაც – მათ უნდა მისდიონ სპორტს, ჰქონდეთ რაიმე გატაცება, შეხვდნენ მეგობრებს და წიგნებიც იკითხონ. ახალ მედიასაშუალებებს, რომლებიც ყველგანაა, აქვთ ჩრდილოვანი მხარეები. არიან ბიჭები, რომლებიც ხშირად და დიდხანს რჩებიან ინტერნეტსივრცეში. ისინი გვიან ღამემდე ონლაინთამაშებით არიან დაკავებული და ვირტუალური ცხოვრებით ცხოვრობენ. პერსონალური კომპიუტერი მუშაობს, ხმის გამაძლიერებლებიდან მოგუგუნებს მუსიკა, მეგობრები გზავნიან მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. იქვე სრულდება საშინაო დავალებებიც.

მუდმივი კომუნიკაციური თანხლება ტვირთად აწვება და აუხეშებს მათ. გოგონას ან ბიჭს თუ ჩხუბითა და ლანძღვით, სოციალური ქსელის პლატფორმით ხელში, უდაბნოში გაგზავნით, საღამოს გეძლევათ საშუალება, იგი მოკლე ტექსტური შეტყობინებით უკან დააბრუნოთ.

ელექტრონული მედიასაშუალებები არანაკლებ როლს ასრულებს ახალგაზრდების თვითიდენტიფიკაციის ჩამოყალიბებაში. საქმე ეხება მათ მისწრაფებებს – დაამყარონ კავშირი თანატოლებთან. უფროსი ასაკის ბიჭები გვერდს არ უვლიან ახალ მედიასაშუალებებს, როცა სურთ, ვინმეს ესაუბრონ. ფეისბუქისა და პერსონალური კომპიუტერის ვირტუალურ სამყაროში მალე მყარდება მეგობრობა. მოთხოვნილება ურთიერთობებისა და კონტაქტების დასამყარებლად აახლოებს მათ. ქსელში ვირტუალურ გარემოში ხედავენ, რომ მათ აღიარებენ, ისინი მაგრები (Cool) არიან.

კანონები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბავშვები და ახალგაზრდები იმ საფრთხისგან დავიცვათ, რომლებიც ვირტუალური სამყაროდან მომდინარეობს. ახალ მედიასაშუალებებთან საურთიერთოდ ახალგაზრდებს და ბავშვებს კონკრეტული დახმარება სჭირდებათ. ეს ნიშნავს: მოვუსმინოთ მათ, გამოვიჩინოთ ინტერესი მათი ვირტუალური სამყაროსადმი, დაველაპარაკოთ საზღვრების თაობაზე. ურთიერთობების გაბმა საუკეთესო საშუალებაა იმ საფრთხეების ასაცილებლად, რომელნიც ახალი მედიასაშუალებების გამოყენებისას წამოიჭრება.

ლუ დეკურტნისი,
ფსიქოლოგი

პოეზია



„ჩვენს თბილისში ხან ზოლმაა, ხან შურია, სალოცავად ერთადერთი ხაშურია" — ჯანსუღი.

ჰოდა, ახლა, როცა ამ ზოლმამ და შურმა მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, მინდა, მივაწვდინო ხმა მას და მის ახლობლებს, რომ ხაშურს უყვარს ქართული პოეზიის დიდი ოსტატი — ჯანსუღ ჩარკვიანი. სიყვარული კი ისეთი უძლეველია, ყველა ზორონტებას დაამარცხებს.

მალე, ხაშურში შეხვედრამდე, ბატონო ჯანსუღ!

მურად მთვარელიძე



მომრავლდნენ

ზოლმამ წალეკა ქვეყანა,
ისმის ტირილი ხალხისა,
ვაჰ, რა მტრის რისხვამ შეგვყარა,
იმედიც გაქრა ხვალისა.
მომკლა სანწყალთა ზღავილმა —
საიქიოსკენ მავალმა,
ყვავილმაც არ იყვავილა,
აღარც არაფერს არ ვმალავ,
არც იმედი მაქვს ოცნების, —
აღარც მომავლის მოყმისა,
მითხარი, რით იმოსები,
ახალო მტერო მოყვრისა.
ნუთუ, გზებს ველარ გავივლით,
ნუთუ, დრო დადგა ოხრების?!
ხარნი მოდიან ზღავილით
და მოგვიმრავლდნენ ძროხები.
შური და რისხვა მოძალდა,
სიტყვაც არ მესმის მართალი,
ნეტა, საიდან მოზრძანდა
უგაზაფხულო ზამთარი?

ყველაფერი გამიფრინდა

მესმის დილის ხმაურის ხმა,
წარსულის კლდეს ანგრევს ცეცხლი,
მზეო, დღესასწაული ხარ,
ერთადერთი, მთვარე შეგცვლის.
მიმზერს ზეცის თვალი ციდან,
როგორც ძველი მეგობარი,
ყველაფერი გამიფრინდა,
ერთადერთი, მერგო გვარი.
გავხედე და არვინ დამრჩა,
მოძმის ნახვა ვერ მეღირსა,
ეჰ, რას ვიზამთ, კვალიც არ ჩანს
სიყვარულის მკვლელებისა.
ჟამი და დრო ფარისევლობს,
იქეთ ძმათა სამარეა,
მთავარია, გავიხსენოთ —
ეს ყველაზე მთავარია.

ტანჯული ქვეყანა

ის ყივის, მე ვყივი,
შენ ყივი,
ჭირი აქვს ქვეყანას
შეყრილი...
არ გაგახარებ ვარდებით,
იებით
შეგიყვარდები.
მკვლელების ხელში
ტირი და
რაც გქონდა,
გაქრა ტვინიდან,
რუსის ჩექმის ქვეშ
გათელილს,
შენ აღარ გქვია ქართველი.
აღარც გვარი გაქვს,
არც — რჯული,
შენ ხარ ქვეყანა ტანჯული.
თავიც ვერაფერს
შესწირე,
არა ხარ თავისუფალი,
მიდი, სამებას ეწვიე
და გახდი
თავის უფალი!

iveria

ივერია, ივერია, ქვა, ქვა მღერის, ივერია,
ჯერ არასდროს ქვაო, ქვაო,
ასე არ დაგიმღერია.
ივერია, ივერია ცაშია და მაღალია,
მისი ფერი, ლურჯი ფერი, ლურჯი ყანის ღაღანია,
მოდის, მოდის რუსთაველი ავთანდილის ლხენითაო.
— რა მარჯვენა ხელითაო?
— რა მარჯვენა ხელითაო? —
თესვითა და მომკითაო, შრომითა და როკვითაო,
ქვაში ერის სიყვარული,
ქვაში ერის სილაღეო,
ღმერთო, ღმერთო, შენ შეჰმატე ივერიას სიმაღლეო.

დიდი ნათელი

დაღამებულა ფიქრით და სევდით
და ლურჯი ფერი წასულა ცისკენ...
ჩვენ კი ოთახში ვიჯექით, ვწერდით
და ხმას კეტავდა კედლების სისქე.
თურმე გარბოდნენ ლამაზი წლები,
ჩვენ კი გვეგონა, გავრბოდით მზისკენ.
თეთრი ფიქრები ორთქლავენ მინებს,
მერე თითებით აწერენ ცრემლებს,
დაეშვა ფარდა შხაპუნა წვიმის
და თქარათქური გაუდით ცხენებს.
წვიმასაც მიაქვს თავისი წილი
და გვიფათურებს უამრავ ხელებს.
ხომ არ გვეძინა, რა ვუყოთ მერე,
ხომ არ ვტიროდით დაკარგულ ნუთებს,
დავდიოდით და ვეძებდით ფერებს,
დაგვდევდა სევდა, ვით სულის ხუთვა,
მზისკენ მივსდევდით გაფრენილ მერნებს
და მკერდში წლების გვესმოდა სუნთქვა.
ახლა თუ გინდა, წავიდეთ მართლა,
ახლა თუ გინდა, გვიმუხთლოს ბედმაც.
შენი ჭირიმე, აუგი არ თქვა
და არ აჩვენო არავის სევდა,
შენ სხვა იყავი, შენ წერდი მართალს
და დიდი ღმერთის ნათელი გედგა.

სადღეგრძელო

ტირილისა და სიმღერისა
მსურს, ერთად შევსვა,
ჩვენი ტირილი ძალიან გავს
სიმღერას ჩვენსას.
ამას რომ ვამბობ, სადღეგრძელოდ
გული მიღელავს
— ეს გაუმარჯოს
ტირილსა და
ჩვენს დიდ სიმღერას!

არწივი და პოეტი

პოეტი იმ გზას გაუდგა,
საითაც მის ფრთებს გაშლიან,
არწივს მიწაზე რა უნდა,
არწივი მუდამ ცაშია.
მე მიყვარს ფრთები არწივის,
ნეტა, „პირველად" მზე თუ თვლის,
არწივი ყივის, არ წივის,
არწივი ზეცას ეკუთვნის.
ისე, ვით მაღალ მთაწმინდას
მარად უხდება მზის ნახვა,
პოეტო, შენ ხარ არწივთან,
შენ მიწისა და ცისა ხარ!

cisfer gzebze

სიცოცხლე რომ მოჯარბდება,
შვილიშვილი მოძალდება,
ზეცა მოგთხოვს პასუხს,
ცას ვარსკვლავი მოჯარდება,
მწუხარება მობრძანდება,
წარბს ნუ შეხრი, ჯანსუღ.
ფერმიხდილი მოჩვენება
ზერდაგ ცხენით მოჯენდება,
კარგად იცი, რაც სურს...
ესე იგი, დრო ჩერდება,
შესძლო ლურსმნის მოჯედება,
წარბს ნუ შეხრი, ჯანსუღ.
სიყვარული და ხატება
ცისკენ მეცხრე აღმატებად
მიელტვის და გაჰქუხს,
რაც ჩაუთქვა, გამართლდება,
უფრო, უფრო განათდება
ცისფერ გზებზე, ჯანსუღ.

პროზა

გოდერძი ჯობაძე

ორმო

კაცი თხრიდა და ცას გაჰყურებდა. აოცებდა მისი უსასრულობა და მიუწვდომლობა თრგუნავდა. სანამ თხრას დაიწყებდა, პირველი მუჭი მშრალი მიწის გადაყრამდე იცოდა, რომ ცაში მხოლოდ ცქერა შეიძლებოდა, ოცნება, დაუშრეტელი ფანტაზიის ქსელების გაბმა და ათასი სხვა რამ, რომელსაც მიწასავით ვერ დაუახლოვდები და მათ არსებობას კანით ვერ შეიგრძნობ... ხანდახან, ცის არსებობა ზედმეტ ტვირთად აწვებოდა, რომელიც მასში გაბლანდული ილუზიებიანად, მის თავში უამრავ სხვადასხვანაირ კითხვად იქცეოდა, ერთიანდებოდა, იკვრებოდა, მძიმდებოდა და ისევ მიწისკენ ახრევინებდა თავს, სადაც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, შაქარივით დნებოდნენ ეს უპასუხო კითხვები და კაცი კვლავ განიცდიდა მონატრებულ სიმსუბუქეს.

იქნებოდა ასე თავდახრილი, მსუბუქი, მშვიდი, ამოთხრიდა მიწას, არ ახედავდა ცას, მაგრამ როგორ? მაშინ, როცა ყველა ცას უყურებს, ან ცდილობს, რომ უყუროს... ძლიერიც ხომ ის არის, ვინც ყველაზე მკაფიოდ ხედავს მას და, შესაბამისად, ყველაზე ნაკლებად არის ჩაფლული მიწაში. ისეც ვერ იქნებოდა, რომ, უბრალოდ, ცაში ეცქირა და მიწაზე მონუსხული გართხმულიყო. ეს ხომ მხოლოდ გონებაში შექმნილი პარადოქსია. ვინც არ თხრის, ცას ვერ ხედავს! ამიტომაცაა, რომ ყველა თხრის, ყველა ფუსფუსებს, მხოლოდ აქა-იქ თუ გამოერევა ვინმე ასეთი, მიწაზე გართხმული... თხრიან და საგულდაგულოდ ამოწმებენ ხვრელის რადიუსს, რათა სიღრმის ზრდასთან ერთად, ცის ხედი ძალიან არ დავიწროვდეს.

საოცარი ის არის, რომ ამ ქვეყანაზე სიღრმესაც აფასებენ, მიიწევენ იდუმალი ბირთვისკენ სველი მიწის ნოტიო უსასრულობაში, მაგრამ მაინც არ კარგავენ ცის ხედს, რათა ისევ ასწიონ თავები, სხეული დაიმძიმონ ცის უსასრულობით, მერე მიწას ჩააჩერდნენ, ისევ დამჩატდნენ და ყველაფერი ისევ თავიდან...

ამასობაში დროც გადის, ზოგის ორმო ღრმავდება, ზოგის – განიერდება, ზოგიც პოულობს საკუთარი ცხოვრების ბირთვს და ჩერდება, იბანს მიწით გაშავებულ ხელებს და იწყებს მშვიდ ცხოვრებას, არც ცის სიშორე აწუხებს და არც მიწის იდუმალება...

კაცი კი ფიქრობს... სიღრმე, თუ სიგანე? ცა, თუ მიწა? ერთი კი უკვე გადაწყვიტა: ან ძალიან განიერი, ან ძალიან ღრმა. – იქნებ, ორივე? – არა, ამაზე ადრეც იფიქრა; მოინდომა კიდეც ნააზრევის შესრულება, მაგრამ ისეთი ზლაზვნით იმატებდა ორმოს სიგრძეც და სიგანეც, რომ ცა უკვე უფრო მრავალრიცხოვან და მძიმე კითხვებს უშენდა მის გონებას, ხოლო მიწა კი, გაორმაგებული იდუმალებით ეწეოდა სიღრმისკენ. არადა, წესით, არ უნდა გასჭირვებოდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება, რადგან უამრავი მაგალითი სმენია სხვა კაცებისა, რომლებიც თხრიდნენ ინდივიდუალურად და სხვადასხვანაირად. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც დაბადებიდან ჰქონდათ მკლავში განსაკუთრებული ძალა და შემაძრწუნებელი სისწრაფე. ასეთებს უჭირდათ სიღრმის და სიგანის რეგულირება, ძალიან სწრაფად და ვიწროდ თხრიდნენ, საბოლოოდ, ორმო ენგრეოდათ და ნაადრევად იქცეოდნენ მიწად.

ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ძალიან ცოტას თხრიდნენ სიღრმეში, სულ ცას უყურებდნენ და, შეჩვეულებს, უკვე თავიც აღარ უმძიმდებოდათ. ისინი თავიანთ გადაწყვეტილებას მიწის მრავალფეროვნებით ხსნიდნენ. პათეტიკურად აღწერდნენ, თუ როგორი განსხვავებული „არომატი“ ჰქონდა საკუთარი ორმოდან, თუნდაც ერთი მტკაველის დაშორებით ამოთხრილ მიწას; როგორ უცხოდ, სასიამოვნოდ აღიქვამდა მას გაშავებულ-გაუხეშებული და, თითქოს, გრძნობადაჩლუნგებული კანი. ისინი ადვილად იწონებდნენ თავს. მათი ორმოები უფრო თვალშისაცემი იყო, ვიდრე იმ თავგადაკლული მთხრელებისა, რომლებმაც ცა დაივიწყეს და მძლავრად მიიწევდნენ სიღრმისკენ.

ადამიანის თვალს ხომ ზედაპირის ვიზუალური შეფასება უკეთ შეუძლია, ვიდრე სიღრმისა (?!)...

ისეთები კი, თითქმის არ იყვნენ, რომლებიც განსაკუთრებით არც ცისკენ და არც მიწისკენ არ მიილტვოდნენ, არ ეშლებოდათ რეგულირება და თხრიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესღაც დრო დასრულდებოდა და ისინიც შეჩერდებოდნენ.

***

...მან ერთი კარგი შეგონება მიიღო კაცისგან, რომელიც უკვე ძალიან დიდი ხანი თხრიდა და მის სიტყვასაც დაეჯერებოდა. პირდაპირ უთხრა, ზედმეტი მიკიბ-მოკიბვის გარეშე:

„უნდა დაფიქრდე, რა გინდა, – ცა, თუ მიწა, სინათლეზე გამოჩენა, თუ იდუმალების ჩიჩქვნა, ანუ განუსაზღვრელი მოლოდინი? ...სიგანეს ყველა დაინახავს, შენი ნაშრომი გამოჩნდება. სიღრმე დაგიფასდება, მაგრამ არავინ გაგიზომავს!... თუ სწორი მიმართულებით გათხრი, შესაძლოა, გაჩერებაც დაიმსახურო.“

ეს შეგონება უფრო ბასრი იყო, ვიდრე სხვებს ეგონათ, თუმცა, მაინც ვერ მოახერხა დაბნეულობის გაჭრა და ვერ გააქრო კითხვები. კაცს ისევ იზიდავდა მიწა და დაბნევამდე აოცებდა ცა. ორივე გრძნობა ერთნაირად ფესვგამდგარი იყო და არ იცოდა, რომელი ამოეგლიჯა. ეს გამოცდილებით შეკონიწებული სიტყვები კი, ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, მაგრამ მხოლოდ ახლახან აღმოაჩინა მეხსიერების სკივრში.

ამის შემდეგ ბევრი რამ მოხდა, კარგიც და ცუდიც... შემგონებელს თავისი ორმო არ ჩანგრევია, მისი ნაშრომი უნიკალური იყო. ორმოს ბოლო არ უჩანდა...

ერთხელაც, ამოსვლა ველარ მოახერხა...

მხოლოდ წლების შემდეგ, ერთმა ღონიერმა გაზომა ორმოს სიღრმე და მაშინ მიხვდა ყველა, თუ რა უნდა გაჰკვირვებოდათ. მანამდე, არავინ გამოჩენილა ისეთი, ვინც ორმოსთან მდგარი, თავბრუდახვეული, შეცბუნებული სახით უკან არ დაიხევდა. ამის შემდეგ, კაცი მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი და უფრო ძლიერი შეგონება იყო შემგონებლისგან, მაგრამ იგი მაინც ფიქრობდა, ისევ თხრიდა და თან ცას უყურებდა.

ლექსი

მართა მელაძე – ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფრესკა“-ს მოცეკვავე. წინამდებარე ნოველა მისი პირველი ნამუშევარი გახლავთ – ბავშვური გულწრფელობითა და სიკეთის სურვილით სავსე.

სიკეთეს დიდი ძალა აქვს

ერთ ქალაქში მდიდარი ოჯახი ცხოვრობდა, გვარად – მაკოზიერები. მდიდრები კი იყვნენ, მაგრამ არც ცუდი თვისებები იყო მათთვის უცხო: სიბოროტე, შური, გულქვაობა ღარიბი ადამიანების მიმართ და ა. შ. მაკოზიერებს თავიანთ მოქიშპედ ერთი ოჯახი მიაჩნდა, რომელიც მათსავით სიმდიდრით გამოირჩეოდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, ლუიზიერების ოჯახი არ იყო ბოროტი და შურისმაძიებელი. ყველა მათ სტუმრობდა და დიდი პატივით ეპყრობოდა ქალაქის მოსახლეობა. მაკოზიერებს კი არც არავინ სტუმრობდა, არც არავინ ედგა გვერდში და დახმარებასაც არავინ სთხოვდა, რადგან პასუხი ისედაც ნათელი იყო:

,,გაეთრიე აქედან! როგორ ბედავ და ჩვენ – ასეთ გამორჩეულ ოჯახს რამეს თხოვ!"

ასე გადიოდა წლები. ლუიზიერებს ულამაზესი გოგონა შეეძინათ. მას კიდევ ბიჭიც მოჰყვა და ასე, ბედნიერად ცხოვრობდნენ. მათი შემხედვარე, ბოროტი მაკოზიერების ოჯახი შურით სკდებოდა, მთელი დღე და ღამე იმაზე ფიქრობდნენ, ცუდი რა გაეკეთებინათ მათთვის. საშინლად სძულდათ ის ხმა, რომელიც ლუიზიერების სახლიდან გამოდიოდა, ის ჟრიამული, რომელსაც მეზობლები იზიარებდნენ

დასასრული მე-4 გვერდზე

ზედნიერ ოჯახთან ერთად. ეს ყველაფერი იმის გამოც იყო მათ-თვის გამაღიზიანებელი, რომ მაკოზიერებს მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდათ და ისიც – მძიმე სენით დაავადებული, რომლის განკურნე-ბა შეუძლებელი იყო. ისინი მუდამ საყვედურობდნენ ღმერთს, რომ ასეთი შვილი გაუჩინა და ამის მიზეზსაც ვერ ხვდებოდნენ.

ღმერთის ნებით გაჩენილი ყველა ადამიანი კეთილი და ლაღია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ თვისებებს ზოგიერთი მათგანი უარყოფს და საპირისპირო გზას ირჩევს, რასაც ცუდი შედეგები მოჰყვება. თუმცა, მათი გარკვეული ნაწილი, ამ შეცდომას ადრე თუ გვიან ხვდება, ნანობს და უფალიც პატიებს.

ასე მოხდა ერთხელაც, მაკოზიერების თავს, რამაც ყველა გაა-ოცა და უფრო მხიარული გახადა პატარა ქალაქი.

ერთ საბედისწერო დღეს, სრულიად მოულოდნელად, ერთ გზაზე მიმავალი მეზობლები შეხვდნენ ერთმანეთს – ანდრია ლუიზიერი და ინვალიდის ეტლში მჯდომი გუსტავ მაკოზიერი. ისინი ერთ-მანეთისაგან მალულად იზრდებოდნენ, რადგან ანდრიას მშობლები თავშეკავებას იჩენდნენ მაკოზიერების ოჯახთან ურთიერთობაში.

ანდრია და გუსტავი თვრამეტი წლისები იყვნენ. ანდრია კეთი-ლი, ალალი და კარგი ბიჭი გაიზარდა, მუდამ ეხმარებოდა გაჭირ-ვებაში მყოფ ადამიანებს.

გუსტავი ძლივს-ძლივობით მიდიოდა გზაზე. ამის შემხედვარე, ანდრია, იმ წამსვე მივიდა მასთან და ეტლით გადაადგილებაში მიეხმარა. გუსტავმა კეთილ უცნობს მადლობა გადაუხადა.

– რა გქვია? – შეეკითხა ანდრია გუსტავს.

– მე გგ უ ს ტ ა ვ ი მქვია – ენის ბორძიკით უპასუხა დამ-ბლით დაავადებულმა ბიჭმა. – მაკო ზ ი ე რ ე ბის ოჯახიდან ვ ა ა რ. მეტად კკ ე თ ი ლ ი ბ რძანდებით, – გაჭირვებით დაასრულა წინადადება გუსტავმა.

ანდრია დაინტერესდა, თუ რა სჭირდა მის თანამგზავრს და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

– უკაცრავად, მაგრამ მითხარით, რატომ არ შეგიძლიათ სიარუ-ლი და ლაპარაკიც გიჭირთ? ან ასეთ მომენტში მარტო რატომ ხართ?

– მე გ ა ნ უ კურნებელი სენი მ ჭ ი რ ს – ც ე რ ე ბ რ უ ლ ი დამბლა. ჩ ე მ მ ა მ შ ო ბ ლებმა ზურგი შშ ეე მ ა ქ ც ი ე ს ამის გამო.

კეთილ უცნობს ცრემლები მოადგა. გუსტავს დაპირდა, რომ ექიმთან მიიყვანდა. იმის მიუხედავად, რომ ეს სენი განუკურნებე-ლი იყო, ანდრიას სწამდა სასწაულების და ფიქრობდა, რომ გუს-ტავი გამოჯანმრთელდებოდა.

გუსტავი ანდრიას გადაეხვია, ატირდა და მადლობა გადაუხადა. მას ხომ მსგავსი სიტყვები არავისგან გაეგონა.

ანდრიამ შეასრულა თავისი დანაპირები. ბიჭი, მართლაც, სასწაუ-ლებრივად გამოკეთდა და სიარული შეძლო. აღარც ლაპარაკისას ბორძიკობდა.

გუსტავმა გადაწყვიტა, თავის მშობლებთან დაბრუნებულიყო, მაგრამ მათ შვილი ისევ არ მიიღეს მანამ, სანამ ფეხზე დამდგარი არ იხილეს. გუსტავმა მათ ყველაფერი უამბო, სასწაულებრივად განკურნებულმა.

ამ მონაყოლის შემდეგ, დედ-მამას თვალი აეხილა, მათ მოინანიეს დანაშაული. ბოდიში მოუხადეს შვილს და დარჩენილი სიცოცხლე სიკეთესა და ადამიანების დახმარებაში გაატარეს.

ყოველი ჩვენგანი უშვებს შეცდომებს, ზოგი – დიდს და ზოგიც – პატარას. შეცდომა, რომელიც მაკოზიერების ოჯახმა დაუშვა, უდიდესი შეცდომაა, მაგრამ მათ ის გულით მოინანიეს.

მთავარია შეცდომების გამოსწორების უნარი და სურვილი, რის შემდეგაც, ღმერთი აუცილებლად გვაპატიებს.

შემეცნების კიდობანი

ჭადრაკი ქართულ ლიტერატურაში

მსოფლიოში ყველაზე დახვეწილ და ინტელექტუალურ თამაშად აღიარე-ბულ ჭადრაკს, რომელიც ინდოეთში VI საუკუნეში წარმოიშვა, ჩვენი წინაპრები, არაბების შემოსევამდე VI საუკუნის მეორე ნახევრიდან VII საუკუნის I ოთხი ათეული წლის მანძილზე ეზიარნენ. ამ პერიოდში ჭადრაკს არაბულად **შატრანჯი** ერქვა, რომელიც სპარსული **ჩატრან-გიდან** წარმოიქმნა. (ცნობილია, რომ არაბები ჭადრაკს სპარსეთის დაპყ-რობისას გაეცნენ, ვინაიდან არაბულ ენაში ჩ და გ ასობგერები არ არის, **ჩატრანგმა შატრანჯის** სახე მიიღო.)

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ჭადრაკს ჩვენი მამა-პაპა სპარსეთ-თან კულტურული ურთიერთობების შედეგად ეზიარა, მეორე მოსაზ-რებით, იგი ჩვენში ინდოელმა ვაჭრებმა ან გამოქცეულმა ბუდისტებმა შემოიტანეს, რომლებსაც ბრამინები დევნიდნენ.

ფაქტია, ჭადრაკს საქართველოში შორეული წარსული აქვს. ამ ბრძნული თამაშისადმი ინტერესმა ქართულ ლიტერატურაშიც ჰპოვა ასახვა.

ჭადრაკი პირველად ჩვენში მოხსენიებულია **ბასილი დიდის** თხზუ-ლებაში **„ექუსთა დღეთა"**, რომელიც XI საუკუნის გამოჩენილმა ქა-რთველმა მოღვაწემ და მთარგმნელმა – გიორგი ათონელმა გადმოა-ქართულა და როგორც ირკვევა, ამ თხზულებაში სიტყვა ჭადრაკი მთარგმნელმა ჩაუმატა, რაც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ჭადრაკის საკმაოდ გავრცელებაზე მიგვანიშნებს.

ჭადრაკის სრულყოფილად თამაში რომ კაცის ღირსებად მიაჩნდათ, ამას **„ვისრამიანიც"** ადასტურებს, **მოსე ხონელის „ამირანდარეჯა-ნიანიდან"** კი ვგებულობთ, რომ ჭადრაკი ლხინისა და ნადიმის და-მამშვენებელი ყოფილა.

XVII საუკუნიდან, ეროვნული კულტურის აღორძინებასთან ერთად, შუა საუკუნეების განსაცდელის ჟამს მივიწყებული ჭადრაკის განახ-ლებაც იწყეს ქართველებმა. მეფე-პოეტმა – **თეიმურაზ მეორემ** თავის ლექსში მარგალიტის მძივებად აასხა ქართული ჭადრაკის ტერმინები. **არჩილ მეფემ „მოზარდის აღზრდა"**-ში შეასხა ხოტბა ჭადრაკს, რო-გორც გონების სავარჯიშო, სააზროვნო საშუალებას.

ჭადრაკის სიბრძნეს არც **ბესიკი** და **სულხან-საბა ორბელიანი** დარჩენილან ვალში. ,,სიტყვის კონა"-ში საბამ ქართული ჭადრაკის ტერმინები ჩამოაყალიბა სათანადო განმარტებით. **„სიბრძნე-სიცრუე-ს**ა"-ში კი, რამდენიმე იგავში მოიხსენია ჭადრაკის კეთილშობილური თვისებები. აღსანიშნავია ისიც, რომ საბას განმარტებით, მაშინდელ საქართველოში ჭადრაკის სათამაშო ადგილს ,,სამორინე" რქმევია.

ისიც ცნობილია, რომ დიდი ქართველი პოეტის – **აკაკი წერეთლის** მამა – როსტომი ერთ-ერთი საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკე ყოფილა.

მემატიანემ შემოგვინახა მეფე **ვახტანგ მეექვსის** ქალიშვილის – თამარის მზითვის სია (1712 წ.), სადაც ,,ვეფხისტყაოსანთან" და სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, ჭადრაკიც არის მოხსენებული.

წლების განმავლობაში, თანდათან, მეტად დაიხვეწა საჭადრაკო ხე-ლოვნება და მისი თამაშის ტექნიკა. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა საჭადრაკო პარტიების კომპოზიციების შექმნა.

„ჭადრაკის კომპოზიტორს, სხვანაირად პრობლემისტი (ამოცანის შემდგენელი) ჰქვია. კომპოზიცია ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და მის ესთეტიკურ აღზრდას, ამომხსნელთა დაოსტატებას ემსახურება. ამასთან, იგი გადაიქცა სპორტული პაექრობის ობიექტად. მსოფლიოში იმართება კომპოზიციების შედგენისა და ამოხსნის კონკურსები, მატ-ჩები; არსებობს მათი შეფასების კრიტერიუმები და მსაჯის ინსტიტუ-ტი." – ვაჟა ნეიძე, საჭადრაკო კომპოზიტორი, ფიდე-ს საერთაშორისო არბიტრი და საჭადრაკო კომპოზიციების საერთაშორისო ოსტატი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

როგორც ვხედავთ, ლათინური წარმოშობის სიტყვა კომპოზიტორი, თავისი შინაარსით მრავალწახნაგოვან შეთხზვასა და შედგენას მოი-ცავს, რაც უმთავრესად ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. უძ-ველესი წარმოშობის ჭადრაკიც, დღემდე, თავისი ინტელექტუალური და სააზროვნო მნიშვნელობით, ხელოვნების სფეროს სრულყოფილად უტოლდება.

რედაქტორი ეკა ბაქრაძე